ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4717607

ნომერი: AR1712368

თარიღი : 11.10.2019

გაცემის თარიღი : 21.10.2019

გაცნობის თარიღი : 21.10.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი მიროტაძის ქუჩა, N 4ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა ფავლენიშვილი პ/ნ 01020007386
- თბილისი, კ.ქუთათელაძის 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. სარეკლამო აბრის განთავსება იგეგმება 17.12.2014 წლის №1644147 ბრძანებით შეთანხმებული სავაჭრო ობიექტის ფასადებზე.
ვინაიდან საპროექტო ფასადები არ შეესაბამება ზემოაღნიშნული პროექტით შეთანხმებულს (ფასადი: „ა-გ“ და „გ-ა“) კერძოდ: „ა-გ“ ღერძებში მოწყობილია ვიტრაჟი, პროექტის მიხედვით კი „ა-ბ“ მონაკვეთი ღიაა (არ ფიქსირდება კედელი/ვიტრაჟი), ხოლო „ბ-გ“ მოკვეთში გათვალისწინებულია ფანჯრის ღიობები (დღეის მდგომარეობით აღნიშნული წარმოადგენს მთლიან ვიტრაჟს.) ასევე შეცვლილია „გ-ა“ ფასადის ვიზუალი (კარის ღიობები) და დამატებით მოწყობილია კონდიციონერი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პირველ რიგში წარმოასადგენია, <u>არსებული მდგომარეობით, საპროექტო ფასადებზე უკვე ნაწარმოები სამუშაოების</u> კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.